საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 2813/01
23/03/2021

2813-01-2-202103231703

შპს „ჩხორბიზნეს ცენტრს“
მის: დაბა ჩხოროწყუ, მშვიდობის ქ. №2
ელ. ფოსტა: chkhorbiznes_centri@yahoo.com

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი 2021 წლის 12 მარტის №4283 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტში, სოფ. ლეწურწუმეს ტერიტორიაზე სასარგებლო წიაღისეულის (ქვიშა-ხრეში) გადამამუშავებელი საწარმოს მოწყობისა და ექსპლუატაციას.

გაცნობებთ, რომ წარმოდგენილ სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს საქმიანობასთან დაკავშირებული სხვადასხვა საკითხები, კერძოდ:

- სკრინინგის განცხადებაში (გვ. 8) აღნიშნულია, რომ საწარმო, მაქსიმალური დატვირთვის შემთხვევაში იმუშავებს წელიწადში დაახლოებით 330 დღე, დღეში 8 საათიანი რეჟიმით, ამასთან გვ. 9-ზე აღნიშნულია, რომ ობიექტი წლის განმავლობაში იმუშავებს 300 დღეს, დღეში 8 საათიანი სამუშაო რეჟიმით. შესაბამისად დაზუსტებას საჭიროებს საწარმოს სამუშაო გრაფიკი;
- სკრინინგის განცხადების თანახმად, საწარმოს ტექნიკური წყლით მომარაგება მოხდება მდ. ხობისწყლიდან, თუმცა სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი არ არის წყალაღების GPS კოორდინატები და მდინარიდან წყალაღებისთვის გათვალისწინებული ტუმბოს პარამეტრები, რაც საჭიროებს დაზუსტებას;
- სკრინინგის განცხადების თანახმად, ჩამდინარე წყლების გაწმენდისათვის დაგეგმილია ჰორიზონტალური სალექარის მოწყობა, რომლის მოცულობა დაახლოებით 200 m^3 იქნება. სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი არ არის სალექარის ტიპის შესახებ ინფორმაცია, რაც საჭიროებს დაზუსტებას;
- სკრინინგის განცხადების თანახმად, საპროექტო ტერიტორია წარმოადგენს საწარმოო ზონას, სადაც წლების განმავლობაში ფუნქციონირებდა სამშენებლო კომპანია სს „აისის“ ბეტონის ხსნარის დამამზადებელი საწარმო და ამასთან ბლოკისა და ბეტონის ფილების, ასევე ბეტონის პანელების საწარმო, სადურგლო და რკინის საამქრო, აქვე ფუნქციონირებდა შპს „ტაქსუსის“ უზარმაზარი სახერხი

საწარმო, საშრობი ინფრასტრუქტურით, სადაც ხდებოდა ხის დახარისხება, ხერხვა და შრობა. თუმცა სკრინინგის განცხადებაში არ არის ინფორმაცია აღნიშნული საწარმოების ამჟამინდელი მდგომარეობის შესახებ, ასევე სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი არ არის ინფორმაცია კუმულაციური ზემოქმედების შესახებ, რაც საჭიროებს დაზუსტებას;

ამასთან გაცნობებთ, რომ „წყალდაცვითი ზოლის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის N440 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის თანახმად, მდ. ხობისწყლის წყალდაცვითი ზოლი შეადგენს 50 მეტრს. სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი დანადგარის GPS კოორდინატების ელექტრონული გადამოწმების შედეგად დადგინდა, რომ დანადგარი მდ. ხობისწყლიდან დაშორებულია დაახლოებით 46 მეტრით. შესაბამისად დანადგარი ხვდება მდ. ხობისწყლის წყალდაცვით ზოლში. ვინაიდან წყალდაცვით ზოლში მოქმედებს გარკვეული სახის აკრძალვები შპს ,,ჩხორბიზნეს ცენტრმა" უნდა უზრუნველყოს აღნიშნული დადგენილებით განსაზღვრული მოთხოვნების შესრულება და შესაბამისი ინფორმაციის განახლებული სკრინინგის განცხადებაში ასახვა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამინისტრო სკრინინგის გადაწყვეტილების მიღების მიზნით, ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს აღნიშნული შენიშვნების გათვალისწინებით განახლებული სკრინინგის განცხადების სამინისტროში წარმოდგენის შემდგომ.

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე